თანამშრომლობის მემორანდუმი
№ AIESEC-ISIE/2026/01-30

30.01.2026 თბილისი, საქართველო

წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში წოდებული როგორც „ხელშეკრულება“), გაფორმებულია 2026 წლის 30 იანვარს, ქალაქ თბილისში, საქართველო, შემდეგ მხარეებს შორის:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “აიესეკი საქართველოში”, შემდგომში წოდებული როგორც “AIESEC”, საიდენტიფიკაციო კოდი: 200215338. იურიდიული მისამართი: 0186, თბილისი, საბურთალო, ვაჟა-ფშაველას გამზ, 27. წარმოდგენილი მისი ეროვნული დირექტორის, ფეივორ ნდიკას მიერ (Favour Ndika), B00569972, favour.ndika3@aiesec.net, TEL +234 805 252 1889.

ერთი მხრივ;

და
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა”, შემდგომში წოდებული როგორც “ISIE”. საიდენტიფიკაციო კოდი: 404412845. იურიდიული მისამართი: კოტე აფხაზის 25, თბილისი წარმოდგენილი მისი დამფუძნებლისა და დირექტორის, გიორგი დოლიძის მიერ, პირადი ნომერი 01027035876, g.dolidze@isie.ge, Tel +995 599 88 11 06.

მეორე მხრივ;

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც “მხარეები”, ხოლო ცალ-ცალკე როგორც “მხარე”

წინამდებარე ხელშეკრულების **მიზანია** მხარეთა შორის დამყარებული პარტნიორობის გაგრძელება AIESEC-ის მისიის განსახორციელებლად. ეს გულისხმობს ქართველი ახალგაზრდებისთვის პლატფორმის შექმნას ლიდერული უნარების აღმოსაჩენად და გასაუმჯობესებლად მოსამზადებელი სემინარებისა და შემდგომი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით. თანამშრომლობა მიზნად ისახავს საერთაშორისო კავშირების გაძლიერებას და საქართველოში ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოებას.

მხარეები თანხმდებიან შემდეგ პირობებზე:

AIESEC in Georgia	LLC ISIE
_____	_____

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ახალგაზრდული ლიდერობისა და საგანმანათლებლო განვითარების ხელშეწყობას.

1.2. მხარეები თანხმდებიან ერთობლივი საოპერაციო მოდელის (ე.წ. "funnel") დანერგვაზე, რომელიც გააერთიანებს ISIE-ს საგანმანათლებლო სემინარებს AIESEC-ის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან (Global Volunteer, Global Talent და Global Teacher), რათა ახალგაზრდებს (შემდგომში წოდებულნი როგორც "სტუდენტები") შესთავაზონ განვითარების სრული ციკლი.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, **AIESEC** იღებს ვალდებულებას:

2.1.1. მისცეს ISIE-ს სტუდენტებს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ AIESEC-ის საერთაშორისო პროექტებში და რეგულარულად მიაწოდოს მათ ინფორმაცია ხელმისაწვდომი პროფესიული და მოხალისეობრივი სტაჟირებების შესახებ.

2.1.2. უზრუნველყოს სტუდენტები ზუსტი და გამჭვირვალე ინფორმაციით გაცვლითი პროგრამის საფასურის, ლოგისტიკური პირობებისა და მასპინძელი ქვეყნის სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შესახებ.

2.1.3. ჩაატაროს წინასწარი შერჩევის ფაზა (CV-ს სკრინინგი) ISIE-ს სტუდენტებისთვის სემინარის რეკრუტირების პერიოდში, საერთაშორისო შესაძლებლობებთან კანდიდატების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

2.1.4. გააფორმოს ინდივიდუალური მონაწილეობის ხელშეკრულებები დაინტერესებულ ISIE-ს სტუდენტებთან საერთაშორისო სტაჟირების პროგრამებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გაცვლითი პროგრამის პირობები.

2.1.5. მართოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სრული ოპერაციული ციკლი, რაც მოიცავს კანდიდატების დაკავშირებას საერთაშორისო პარტნიორებთან, სავიზო მხარდაჭერის დოკუმენტაციის მიწოდებას და ლიდერული უნარების განვითარების ხელშეწყობას „AIESEC Inner and Outer Journey"-ს მეშვეობით.

2.1.6. უზრუნველყოს, რომ გაცვლითი პროგრამის ყველა აქტივობა მკაცრად შეესაბამებოდეს

AIESEC in Georgia

LLC ISIE

AIESEC-ის გაცვლითი პროგრამის პოლიტიკას (AEPP) და საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს მონაწილეთა კეთილდღეობის დასაცავად.

2.1.7. მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მათი კონკრეტული სამუშაო აღწერილობისა (Job Description) და პროექტის პირობების შესახებ გაცვლითი პროგრამის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 დღით ადრე.

2.1.8. სტაჟირების წარმატებით დასრულებისა და სავალდებულო დასკვნითი გამოკითხვის (post-experience survey) შევსების შემდეგ, AIESEC-ი გასცემს დასრულების ოფიციალურ სერტიფიკატს, რომელშიც მითითებული იქნება სტაჟირების თარიღები და მოვალეობები.

2.1.9. მისცეს ISIE-ს შესაძლებლობა, მოახდინოს თავისი კურსების პოპულარიზაცია AIESEC-ის სოციალური მედიის არხების მეშვეობით და ოფიციალურად აღიაროს ISIE სტრატეგიულ პარტნიორად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, **ISIE** იღებს ვალდებულებას:

2.2.1. უზრუნველყოს სტუდენტების პირველადი რეგისტრაცია პლატფორმის ExchangeProgram.ge მეშვეობით და მართოს მოსამზადებელ სემინარზე ჩარიცხვის საწყისი პროცესი.

2.2.2. ჩაატაროს რვა (8) სესია „პიროვნული განვითარების სემინარის“ ფარგლებში, რათა მოამზადოს სტუდენტები საერთაშორისო ლიდერული პოზიციებისთვის, რაც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: მსოფლმხედველობის ფორმირება, პიროვნული ღირებულებები, მისია და ხედვა, მიზნების დასახვა, დროის მართვა, რესურსების მართვა და მომავალზე ორიენტაცია.

2.2.3. გამოუყოს AIESEC-ს სპეციალური დრო სემინარის დასკვნითი სესიის განმავლობაში და უზრუნველყოს AIESEC-ისთვის კანდიდატების CV-ებსა და სააპლიკაციო მონაცემებზე წვდომა მათი რეგისტრაციისთანავე, ადრეული შერჩევის (matching) პროცესის ხელშესაწყობად.

2.2.4. ISIE-ს სტუდენტების რეკრუტირების ინტერვიუს სკრიპტში შეიტანოს AIESEC-ის მიერ მოწოდებული 3-5 სპეციფიკური საკითხავი/შეკითხვა.

2.2.5. ითანამშრომლოს AIESEC-თან გაცვლის შემდგომ (Debriefing) სესიებზე, რაც მოიცავს სპეციფიკური რეფლექსიური კითხვების დასმას ISIE-ში სტუდენტების შენარჩუნების მიზნით.

AIESEC in Georgia	LLC ISIE
_____	_____

2.2.6. მიანიჭოს AIESEC-ს „ექსკლუზიური გაცვლითი პარტნიორის“ სტატუსი და მოახდინოს AIESEC-ის პროგრამების პოპულარიზაცია ISIE-ს სტუდენტებისა და პარტნიორების საზოგადოებაში.

2.2.7. ISIE ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა სარეკლამო მასალა იყოს კეთილსინდისიერი, ზუსტად ასახავდეს AIESEC-ის მისიას და შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და AIESEC-ის გაცვლითი პროგრამის პოლიტიკას (AEPP).

2.2.8. სტუდენტებისთვის განკუთვნილი ძირითადი კამპანიის ვიზუალური მასალები და შეტყობინებები AIESEC-ის შესაძლებლობების შესახებ უნდა გაიაროს AIESEC-თან შეთანხმების პროცესი მათ გაშვებამდე, მაქსიმალური ეფექტურობისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

3. საოპერაციო ეტაპები და ფინანსური ვალდებულებები

მხარეები განახორციელებენ პარტნიორობას შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

3.1. ISIE უზრუნველყოფს სტუდენტების რეკრუტირებასა და რეგისტრაციას *ExchangeProgram.ge*-ს მეშვეობით. რეგისტრაციის პროცესში ISIE აწვდის AIESEC-ს წვდომას კანდიდატების CV მონაცემებზე და ინტერვიუს სკრიპტში რთავს AIESEC-ის სკრინინგ კითხვებს ადრეული შერჩევის (matching) ფაზისა და რეალური მოლოდინების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.

3.2. ISIE ახორციელებს „პიროვნული განვითარების სემინარის“ პროგრამას. დასკვნითი სესიის განმავლობაში, AIESEC-ი ატარებს ინტენსიურ საინფორმაციო შეხვედრას პრიორიტეტული საერთაშორისო შესაძლებლობების წინასწარ შერჩეული სიის წარსადგენად და კანდიდატთა შერჩევის პროცესის დასასრულებლად.

3.3. მას შემდეგ, რაც სტუდენტი დარეგისტრირდება *aiesec.org*-ზე სესიების ან შემდგომი სარეკლამო კომუნიკაციის დროს, AIESEC-ი იღებს სრულ პასუხისმგებლობას და ამ აპლიკანტებს მიაკუთვნებს ISIE-ს პარტნიორობის არხს. AIESEC-ის გაცვლითი პროგრამის საფასურს სტუდენტი უხდის უშუალოდ AIESEC-ს მხოლოდ პლატფორმაზე ოფიციალური დასტურის (Approval) შემდეგ და მკაცრად ინდივიდუალური გაცვლის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. AIESEC-ი იღებს სრულ პასუხისმგებლობას სტუდენტზე მისი „Approval“ (დადასტურების) ეტაპზე გადასვლისთანავე.

3.4. პირველი ორი (2) რეკრუტირების ციკლისთვის (ან პირველი 10 დადასტურებული Approval-ისთვის), სტუდენტისთვის ჯამური საფასური შეადგენს 700 ლარს. აღნიშნული

თანხა იყოფა თანაბრად:

3.4.1. 350 ლარი გადაიხდება ISIE-ს სასარგებლოდ საგანმანათლებლო სემინარისთვის (ვადა: სემინარზე შერჩევისას). სტუდენტებმა ISIE-ს უნდა გადაუხადონ საბანკო გადარიცხვით ან ონლაინ PayPal-ის საშუალებით;

3.4.2. 350 ლარი გადაიხდება AIESEC-ის სასარგებლოდ, როგორც გაცვლითი პროგრამის საფასური (ვადა: მკაცრად *expa.aiesec.org*-ზე ოფიციალური დადასტურებისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ).

3.4.3. 2026 წლის ციკლებისთვის, მონაწილეობის ჯამური საფასური შეადგენს 700 ლარს. საფასურის სტრუქტურის ნებისმიერი ცვლილება (მაგ. AIESEC-ის გლობალური პოლიტიკის ცვლილების გამო) უნდა შეთანხმდეს წერილობით. პირველი ორი (2) ციკლის (ან 10 Approval-ის) შემდეგ, განაწილება ხდება შემდეგნაირად: 250 ლარი ISIE-სთვის და 450 ლარი AIESEC-ისთვის. ფასის იდენტურობა (700 ლარი) ნარჩუნდება როგორც პირდაპირი, ისე პარტნიორული რეგისტრაციისთვის, სტუდენტებს შორის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად.

3.4.4. პრიორიტეტული შესაძლებლობების სიას აგგენს ექსკლუზიურად AIESEC-ი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აირჩევს პროგრამას პრიორიტეტული სიის მიღმა (მათ შორის self-apply შემთხვევები), მხარეები დამატებით შეთანხმდებიან საფასურის სტრუქტურაზე. ეს კეთდება იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სტუდენტისთვის გაუთვალისწინებელი ხარჯები (როგორიცაა მასპინძელი ქვეყნის მოსაკრებელი - Host Fee) და შენარჩუნდეს წინასწარ დათქმული სამართლიანი ფასი. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს ყოველგვარი რეპუტაციული ზიანისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას.

3.5. სტუდენტის გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ, მხარეები ატარებენ ერთობლივ შემაჯამებელ (Debrief) სესიას. ISIE ხელს უწყობს მონაწილეთა ჩართვას მეორად პროდუქტებში ან კურსდამთავრებულთა (alumni) ქსელში.

3.6. არცერთი მხარე არ არის ვალდებული გადაუხადოს მეორეს საკომისიო ან რეფერალური საფასური, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული დამატებითი შეთანხმებით.

3.7. მხარეები იღებენ ვალდებულებას, საპილოტე ფაზის დასრულების შემდეგ ჩაატარონ სავალდებულო სტრატეგიული მიმოხილვის შეხვედრა ფინანსური და ოპერაციული ეფექტურობის შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, საფასურის სტრუქტურის კორექტირებისთვის მომავალი ციკლებისთვის, გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

AIESEC in Georgia	LLC ISIE
_____	_____

4. პარტნიორობის კოორდინაცია და მართვა

4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ AIESEC-ის მხრიდან პარტნიორობის კოორდინაციასა და ოპერაციულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის აისეკ საქართველოს გაცვლითი პროგრამების მენეჯერი.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ISIE-ს მხრიდან პარტნიორობის კოორდინაციასა და ოპერაციულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ISIE-ს პიროვნული განვითარების სემინარის მენეჯერი.

4.3. პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე ყველა ოპერაციული საკითხი და ინფორმაცია უნდა შეთანხმდეს ზემოთ აღნიშნულ პასუხისმგებელ პირებს შორის.

4.4. გადაუდებელი ოპერაციული პრობლემების ან კრიტიკული სიტუაციების შემთხვევაში, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია კოორდინატორების მიერ, პროცესში დაუყოვნებლივ ერთვებიან ორივე ორგანიზაციის მოქმედი დირექტორები.

4.5. ნებისმიერი შიდა თუ კონფიდენციალური ინფორმაციის განხილვა ნებადართულია მხოლოდ ორგანიზაციების მოქმედ დირექტორებსა და ზემოთ აღნიშნულ კოორდინატორებს შორის.

4.6. სტრატეგიული გადაწყვეტილებები, ხელშეკრულების ცვლილებები ან თანამშრომლობა სხვა პროექტების ფარგლებში განიხილება და მტკიცდება ექსკლუზიურად ორგანიზაციების მოქმედი დირექტორების მიერ.

5. კონფიდენციალურობა, ინტელექტუალური საკუთრება და მონაცემთა დაცვა

5.1. მხარეები ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს საქართველოს კანონის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" შესაბამისად.

5.2. საკუთრების მასალები, სტუდენტთა საკონტაქტო სიები და შიდა მონაცემები კონფიდენციალურია და არ გადაეცემა მესამე პირებს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.3. ISIE ვალდებულია უზრუნველყოს, რომ *ExchangeProgram.ge*-ს სარეგისტრაციო ფორმა შეიცავდეს მკაფიო შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ და თანხმობის ღილაკს, რითაც სტუდენტები დასტურს აცხადებენ მათი მონაცემების AIESEC-ისთვის გადაცემაზე.

5.4. თითოეული მხარე მეორე მხარეს ანიჭებს შეზღუდულ, არაპრესტიჟულ და გადაუცემელ ლიცენზიას მისი სახელის, აბრევიატურისა და ლოგოს გამოყენებაზე მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სარეკლამო მიზნებისთვის.

AIESEC in Georgia	LLC ISIE
_____	_____

5.5. სავაჭრო ნიშნების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს მფლობელი მხარის ბრენდბუქს. ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, ლიცენზია უქმდება და მხარეებმა 14 დღის ვადაში უნდა ამოიღონ ერთმანეთის ბრენდინგი თავიანთი პლატფორმებიდან.

6. ხანგრძლივობა და შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის განმავლობაში.

6.2. თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მინიმუმ 30 დღით ადრე წერილობით არ განაცხადებს შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 2 (ორი) წლით.

6.3. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ვალდებულებები იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც უკვე იმყოფებიან AIESEC-ის გაცვლის "დადასტურების" (Approval) ან "რეალიზაციის" (Realization) ეტაპზე.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას, გაზიარებული პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს ან დაუბრუნდეს გამგზავნ მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს გაფორმებული აქვს პირდაპირი ხელშეკრულება მიმღებ მხარესთან.

6.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, არადამრღვევ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, თუ დამრღვევი მხარე აღნიშნულ ვადაში არ გამოსწორებს დარღვევას.

7. პასუხისმგებლობა და ანაზღაურება

7.1. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას და აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზიანი, რომელიც გამოწვეულია ამ მხარის უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით.

7.2. AIESEC იღებს სრულ პასუხისმგებლობას სტუდენტების უსაფრთხოებასა და ლოგისტიკაზე "რეალიზაციის" ეტაპზე (სტაჟირება საზღვარგარეთ). ISIE არ არის პასუხისმგებელი საქართველოს ფარგლებს გარეთ ან AIESEC-ის მიერ მართული გაცვლის დროს მომხდარ ნებისმიერ ინციდენტზე ან იურიდიულ საკითხზე.

7.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (პანდემია, სახელმწიფო შეზღუდვები, სავიზო პოლიტიკის ცვლილება და ა.შ.).

AIESEC in Georgia	LLC ISIE
_____	_____

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს თანამშრომლობის საფუძველს. კონკრეტული პროექტები ან ფინანსური პირობების ცვლილებები გაფორმდება დამატებითი შეთანხმებებით (დანართებით).

8.2. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობით და დასტურდება მხარეთა ხელმოწერებითა და ბეჭდებით.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მთელი ინფორმაცია, ისევე როგორც თანამშრომლობის კონკრეტული პირობები, არის კონფიდენციალური. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მესამე მხარისთვის მხოლოდ ორივე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

8.4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ შემოიფარგლონ მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმებებით. ისინი შეინარჩუნებენ აქტიურ საქმიან კონტაქტებს და მიიღებენ ყველა საჭირო ზომას პარტნიორობის უწყვეტი განვითარებისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ დედანად. მხარეები აღიარებენ დისტანციურად გაცვლილი სკანირებული ასლების (Soft copy) დედნის თანაბარ იურიდიულ ძალას. ინგლისურენოვანი ვერსია არსებობს ელექტრონული სახით მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის. შეუსაბამობისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით AIESEC-ის ეროვნულ დირექტორსა და ISIE-ს დირექტორს შორის.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ზემოაღნიშნულის დასტურად, მხარეები, მოქმედებენ რა მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ მითითებული თარიღიდან.

ა(ა)იპ "აიესეკი საქართველოში"	შპს აიესაი ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა
მისამართი: 0186, თბილისი, საბურთ ვაჟა-ფშაველას გამზ, 27 **ელ-ფოსტა:** georgia@aiesec.net	**მისამართი:** 0186, თბილისი, კოტე აფხაზ თბილისი **ელ-ფოსტა:** info@isie.ge

AIESEC in Georgia

LLC ISIE

კოდი: 200215338 **IBAN:** GE06TB7173636020100007 **ბანკი:** JSC TBC Bank **BIC:** TBCBGE22	**კოდი:** 404412845 **IBAN:** GE78TB7685736080100004 **ბანკი:** JSC TBC Bank **BIC:** TBCBGE22

„აიესეკი საქართველოში“-ს ეროვნული დირექტორი

ფეივორ ნდიკა (Favour Ndika)

AIE SEC GEORGIA 200215338

შპს „ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლის“ დამფუძნებელი და დირექტორი

გიორგი დოლიძე (Giorgi Dolidze)

Giorgi Dolidze 01027035876

Digitally signed by Giorgi Dolidze
Date: 2026.01.30 17:37:38

AIESEC in Georgia

LLC ISIE